ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკადული

1927

№ 2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი.

1. სურათი . . . . . .
2. 25 თებერვალი — ერგმორის 2
3. ბავშის სიტყვა — ლექსი — ე. პოლუმორდვინოვის 3
4. სიჩუმე (თარგმანი) № 4
5. ხმამ გადაარჩინა — გ. რობიტაშვილის 15
6. ციგაობა — ლექსი — დ. ელიოზიშვილის 21
7. პატარა მიშიკო — გოგის 24
8. ანბანის სიმღერა — ი. გრიშაშვილის 29

ბავშთა შემოქმედება:

9. 25 თებერვალი — ლექსი — გ. შალვაშვილის 30
10. წითელარმიელთ — ლექსი — ლევან პაიჭაძის 31
11. მათხოვარი — ა. ძიძიგურის . . . . . „
12. მებრძოლთა სიმღერა — ლექსი — კახელი ბიჭის . . . . . „
13. შვილის რჩევა — მე-2 შრომის — სკ. მე-II ჯგუფის მოწ. შ. ფერიაშვილის 32
14. ზამთრის სურათი — მე-II ჯგუფ. მოწ. შოთა ბალაშვილის . . „
15. გასართობი და ამოცანები — ყდაზე.

რებუსი

წარმოდგენილი მანისაგან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშვი

მე-XXIII წ. | № 2 | თებერვალი | 1927 წ.

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქ. ა. ლ. კომკავშ. ცენტრ. კომიტ. ჟურნალი ბავშვებისათვის.

F 1929

საქ. სახ. ბიბლიოთეკა

ჩვენ ვმტაიცდებით, ვიზრდებით და ვაშენებთ სოციალისტურ საზოგადოებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

25 თებერვალი.

ამ დღეს ექვსი წელი შესრულდა საქართველოს გასაბჭოებიდან, ამ დღეს მდიდრებისა და მათი ხელის შემწყობების, მენშევიკების, მაგიერ ხელისუფლების სათავეში მოექცა მშრომელი ხალხი, მუშები და გლეხები, რომელნიც მრავალი წლის განმავლობაში განიცდიდენ ჩაგვრას-მონობას.

ვიდრე საქართველო გასაბჭოვდებოდა, მუშები და გლეხები მეტად მძიმე პირობებში ცხოვრობდენ, დღეს კი სულ სხვაგვარი მდგომარეობაა.

უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მუშურ-გლეხური მთავრობის მიზანია, რომ მშრომელ ხალხში განათლება იქნეს შეტანილი, რომ ისინი ნათლად ხედავდენ, თუ რა ხდება მათ ქვეყანაში და თვითვე იღებდენ მონაწილეობას ქვეყნის აღმშენებლობაში.

ეს ასეც ხდება. მათი მხურვალე თანაგრძნობით და მონაწილეობით მივდივართ აყვავებისა და აღორძინებისაკენ, რის ერთ მთავარ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს ზაჰესი, რომელიც შენდება მტკვარზე.

ყველა ამის გარდა დიდი ყურადღება ექცევა მომავალ თაობას — ბავშობას, რომელთაც ახალ ცხოვრებასთან შეგუებით ესაჭიროებათ აღზრდა.

დღეს ყველა ბავში სწავლობს, მათთვის ყველგან, თითქმის მივარდნილ სოფლებშიც კი, გახსნილია სკოლები ცოდნისა და სათანადო აღზრდის მისაღებად. ბავშები დღეს იზრდებიან შრომისადმი სიყვარულითა და პატივისცემით; მათ არ უნდა იცოდენ დაზარება და, რასაც ასწავლიან მათი მასწავლებლები, გულმხურვალედ უნდა ითვისებდენ.

ჩვენი ქვეყანა — შრომისა და განათლებისადმი დაუცხრომელი მისწრაფების ქვეყანაა. ყველა ბავში უნდა გრძნობდეს ამას და როდესაც სწავლობს, უნდა ფიქრობდეს იმასაც რომ თვითონაც გამოვიდეს შრომისმოყვარული — მუშურ-გლეხური საქართველოს საკეთილდღეოდ.

ერგმორი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშის სიტყვა.

რა ვიცი, როგორ, ან რათ ხდებოდა,
ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ,
მე მაშინ მგონი არც კი ვიყავი,
არც კი მქონია ამ ქვეყნად ბინა.

———

ეს მითხრა დედამ, საყვარელ დედამ,
რომ ძველთაგანვე ტანჯვაა ხალხში,
რომ ზოგნი ულევ ოქროში სხედან,
ზოგნი კი მუდამ ყოფილან თალხში.

———

და საქართველოს მუშა და გლეხიც,
მწარე ოფლის ღვრით ლუკმის მშოველი,
ყოფილა მუდამ მათრახის ქვეშით
და შეხვედრია ბედი დამწველი.

———

პატრონებს გული არ ასტკივნიათ
იმათ ტანჯვა და მწუხარებაზე,
დღენი თავისი სულ უცხინიათ
და უფიქრიათ საკუთარ თავზე.

———

დღეს კი ჩამოჭკრა შვება-ხსნის ზარმა
და გამოსცვალა უწყალო ბედი,
დაჭრილა უცბად ახალმა ქარმა,
გაანადგურა ყველა ზედმეტი.

———

მიტომ ვზეიმობთ ყველანი ერთად,
რომ დიდი ხნიდან შვება მოგვწყურდა,
რომ თებერვალის 25 დღეში
შშრომელი ხალხი განთავისუფლდა.

. პოლუმორდვ ნოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიჩუმე

— შენ არავის დაელაპარაკო, პალმა,—არიგებდა დედა შვილს; თუ დაგიწყებენ გამოკითხვას, ნურაფერს უპასუხებ: შენი პასუხი იქნება მხოლოდ და მხოლოდ სიჩუმე. ხომ გესმის, პალმა?

პალმა ტირილით მოეხვია მამას.

— მესმის, დედიკო! — უპასუხა გოგონამ.

ის იყო ცამეტი წლის გოგონა, ძლიერ გამხდარი, მაგრამ მკვირცხლი, გონიერი და მოხერხებული. ოქროსფერი თმა ამშვენებდა მის ლამაზ და ნაზ სახეს; დიდრონი შავი თვალები გადაჭიმულ წარბებ ქვეშ მედგრად და უშიშრად გამოიყურებოდა.

დედა გოგონასი, სილვია დოლაბელა, ძლიერ იყო დაღონებული. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მან შვილს უთხრა:

— მამაშენის სიცოცხლე შენს ხელთ არის, შვილო.

პალმამ პასუხის ნიშნად მხოლოდ თავი დაუქნია. დედის მიერ ასეთი გამეორება ერთისადაიმავესი არ მოეწონა და ასე უთხრა მას:

— თუმცა პატარა ვარ, მაგრამ საიდუმლოს დაფარვა შემიძლია. ჩემში ეჭვი ნუ გეპარება, მამაჩემი ყოველთვის მენდობოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამამისი, ლელიო დოლაბელა, ახალგაზრდობითვე მთელ ლონისძიებას ხმარობდა მაზე, რომ მშრომელი ხალხის მძიმე ტვირთი ცოტათი მაინც შეემსუბუქებია.

გალარატში ის ყველას უყვარდა. მის ვაჟკაცურ შესახედაობას, მშვენიერ, სასიამოვნო გამომეტყველების სახეს და რიხიან ხმას ყველა იცნობდა.

ერთხელ, როდესაც ის გამოვიდა მუშათა კრებაზე და ილაპარაკა მათი ტანჯული ცხოვრების შესახებ, ის დაიჭირეს და ჩასვეს ციხეში.

ლელიო ციხიდან მალე გაიპარა, მაგრამ შინ მისვლა არ შეეძლო მას და სწორედ ეს აწუხებდა საშინლად პალმას.

— „თუ მოვიდენ ჩვენთან პოლიციელები და დამიწყეს გამოკითხვა მამის შესახებ, მე კრინტსაც არ დავძრავს, გინდ ასოასო დამკუწონ“.

გოგონამ კარგად იცოდა, რომ მამამისს არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა არავის წინაშე. ის მხოლოდ სიმართლისთვის იბრძოდა. პალმას კარგად ახსოვდა მამის დატუსაღების წამები:

მშვენიერი მზიანი დღე იყო. ის მამასთან ერთად იჯდა ნაძვის ხის ქვეშ ბაღში. უცებ ბაღს ალყა შემოარტყა პოლიციელთა გროვამ; დაადვეს მამას გულზე რევოლვერი და მოკვლას ემუქრებოდენ, თუ წინააღმდეგობას გაუწევდა.

—რა დანაშაული მაქვს?—ჰკითხა მამამ დაწყნარებით, მაგრამ ამ კითხვაზე პოლიციელებმა მხოლოდ ლანძღვა-გინებით უპასუხეს და ბაღის კარებით წაიყვანეს. წასვლის დროს მამა მომიბრუნდა და მითხრა: დაწყნარდი, ჩემო კარგო. მე ერთ საათში აქ ვიქნები. ეს გაუგებრობაა“.

გოგონა დიდხანს ელოდა მამის დაბრუნებას, მაგრამ ერთი საათის შემდეგ კი არა, ერთმა თვემაც გაიარა და მამა კი არსად ჩანდა. ის წაიყვანეს სხვა ქალაქში, რომ მისი საქმე გადაეცათ სამხედრო სასამართლოსთვის. ცოლ-შვილი მის შესახებ ზოგს გაზეთის საშუალებით და ზოგსაც ხალხის ნაამბობით იგებდა. ქალაქს გარეთ, სადაც ცხოვრობდა პალმა, დიდი ველი იყო, მშვენიერი აჭრელებული ხალიჩა ბუნებისა. მაღალ ბალახებში იმალებოდენ ფრინველები და მწერები, ჰაერში გაისმოდა ტოროლას წკრიალი, კალიების ჟრიამული და ფუტკრის ბზუილი, მაღლა ჰაერში ნავარდობდა ველის არწივი, რომელიც თავის მსხვერპლ ფრინველებს უთვალთვალებდა, და ამიტომ გოგონას მოსწონდა და უყვარდა ეს ველი. მამის დატუსაღებამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის მამასთან ერთად საუცხოოდ ატარებდა დროს აქ. მამამისი კითხულობდა თავის საყვარელ წიგნებს და უამბობდა შვილს, თუ რა მძიმე მდგომარეობა აქვთ მუშებს და გლეხებს, ის უამბობდა მის შესახებ, რომ ერთი მუჭა გაბატონებული კლასი აიძულებს მუშასა და გლეხს იმუშაონ მისი ჯიბის სასარგებლოდ. ყველაფერ ამას გოგონა დიდი დაკვირვებით და ინტერესით უსმენდა.

ერთხელ დედამ და შვილმა წაიკითხეს გაზეთში, რომ დოლაბელა გაიქცა სატუსაღოდან და მას პოლიცია ეძებს. პალმამ გადაწყვიტა, რომ მამამისი არის მათ საყვარელ ველში და იმალება ძველი ციხის ნანგრევში. ერთ ღამეს დედამ გააღვიძა პალმა და უთხრა, ამ წუთში იყო აქ ჩვენი მეგობარი, გლეხი იდალიჩიო, და საიდუმლოდ მაცნობა, რომ მამაშენი ველშია: უნდა მოვიდეს ჩვენთან და დაგვემშვიდობოსო. პალმამ სერიოზული გამომეტყველება მიიღო და ცოტა ხნის შემდეგ სთქვა:

— არა, ის შინ არ უნდა მოვიდეს: აქ მას პოლიცია ჩაუსაფრდება და ისევ ციხეში გაგზავნიან. მას გაფრთხილება უნდა. მე წავალ მასთან, გამიშვი, —უთხრა მან დედას.

— შენ? ველში? არაფრის გულისთვის.

მაგრამ პალმა თავისას გაიძახოდა.

იმ ღამეს დედა-შვილს არ ეძინათ, რომ არ გამოჰპაროდათ ლელიოს ფეხის ხმა, მაგრამ ამაოდ: გარედან წვიმის ხმაურობის მეტი არა ესმოდათ რა.

პალმა მოუთმენლად ელოდა განთიადს.

დილის ოთხი საათი იყო, როდესაც პალმა წავიდა ველში მამის საძებნელად. მან თან წაიღო კალათი, სადაც მამისათვის ელაგა ნამცხვარი, ერთი ბოთლი ღვინო, ძეხვი და კვერცხები.

პალმა მარტო პირველად იყო მინდორში. მანამდის ის მამასთან ერთად დადიოდა აქ. ირგვლივ არავინ იყო. გოგონამ იქამდის იარა, სანამ ფეხები არ ატკივდა. სიარულის დროს ადგილ-ადგილ ხვდებოდა ხშირი ეკლიანი ბუჩქები და გოგონას გზის გასაკაფავად გადაწევ-გადმოწევა ხელებით უხდებოდა, რა მაც ხელ-ფეხი დაუკაწრა და სისხლი დიოდა; ძლიერი სიცხისაგან მას თავიც ასტკივდა.

როდესაც პალმა ლოგინში იწვა, მას ეგონა, რომ მამის მოძებნა ველად ადვილი იყო, ეს კი ძალიან ძნელი აღმოჩნდა ამფიქრებში გართულს არც კი შეუმჩნევია, თუ როგორ ას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდა მამისკენ მიმავალ გზას. მან ცოტა დაისვენა, შეჭამა პატარა ნაჭერი ნამცხვარისა, რომ არ დასუსტებულიყო.

მის ირგვლივ ბზუოდენ ფუტკრები, რომლებიც ყვავილების წვენიდან თაფლს აგროვებდენ. ეს სასიამოვნო ხმაურობა უქარვებდა მას შიშს.

უცებ კურდღელმა გაირბინა მის ფეხთან. სადღაც შორს ბულბულის ხმას მოჰკრა ყური. მას ცრემლები მოერია თვალზე. სად არის ის? შორს თუ ახლოს? ვერ ეტყვის, ნეტა, მას მუდო, რომელმაც კარგად იცის მიწაში გზები, ან კიდევ ქორი, რომელიც დაფრინავს ისე მაღლა, რომ, ალბათ, ყველაფერს ხედავს და იცის?

სად არის გზა, ჩემო კარგო ბუ?

პალმამ შეამჩნია ბუ, რომელსაც, ჩვეულებისამებრ, დღისით ეძინა ბუჩქქვეშ. მან ბუს ხელი დაუსვა და ჰკითხა: „სად არის გზა ჩემო კარგო ბუ? შენ, ალბათ, იცი, რადგანაც სიბნელეში ყველაფერს ხედავ.

მაგრამ უკმაყოფილო ბუ, შეშინებული მით, რომ ის შუადღეზე გააღვიძეს, ზანტად გადატრიალდა და კიდევ ჩაიძინა. პალმას გზის მაჩვენებელი არავინ ჰყავდა.

ფიქრი იმის შესახებ, რომ მამამისი იმ სალამოს მივიდოდა შინ, ძლიერ ტანჯავდა მას. ის მზად იყო შეეწირა თავისი სიცოცხლე, რომ მამა გადაერჩინა ხიფათისაგან. უკვე ნაშუადღევის სამი საათი იყო. დაღლილობა და მარტოობა ძლიერ აღონებდა და აფიქრებდა. ის დაღლილი დავარდა მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაზე და მაგრად დაეძინა. თეთრმა ტანისამოსმა, რომელიც გოგონას ეცვა, მიიზიდა ერთი პოლიციელთაგანი, რომელიც წამოსულიყო, ორი სხვა ამხანაგით, გამოქცეული ლელიო დოლაბელას მოსაძებნად.

მან სწრაფად მიირბინა იმ ადგილს, სადაც პალმას ეძინა, რომელსაც ფეხები მზის სხივებისათვის მიეშვირა. რომ დაინახა პოლიციელმა ღვინიანი ბოთლი, იფიქრა: ალბათ გამოუტანებიათ საჭმელი და დაუბარებიათ რაიმეო. მან, როგორც გალარატელმა, იმ წამსვე იცნო გაქცეული ტყვის შვილი.

ჩქარა მიპასუხე,—გაჯავრებით უთხრა პალმას.

პოლიციელი ჩამოხტა ცხენიდან და დაუწყო მას ღვიძება. ღრმა ძილისაგან უცბად გაღვიძებულმა პალმამ ვერ მოიაზრა, ვინ ელაპარაკებოდა მას ან სად იყო ის. მზე მას გამოხედვას უშლიდა; პოლიციელი ძალიან ნაზადაც არ მოპყრობია მას გამოღვიძების დროს

— შენ იმ დამნაშავის ქალი ხარ, რომელიც გაიქცა ციხიდან,—უთხრა მან პალმას.—შენ მასთან მიხვალ, ხომ?

გოგონა მხოლოდ მაშინ მიხვდა ყველაფერს, უცებ მოაგონდა, რომ არაფერი არ უნდა ეთქვა.

— ჩქარა მიპასუხე,—გაჯავრებით უთხრა მან პალმას და ხმალზე წაივლო ხელი.

პალმა სდუმდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიციელმა დაუწყო ძახილი ამხანაგებს, რომლებიც ჩამორჩენოდენ მას უკან. ძახილისთანვე ისინი გამოეშურენ მასთან, თუმცა სიჩქარეში მათაც ხელს უშლიდა ხშირი, გაუვალი ბუჩქები.

— შეხედეთ,—უთხრა პირველმა პოლიციელთაგანმა ამხანაგებს,—ეს დოლაბელას შვილია. ამან, ალბათ, იცის, სად იმალება მამამისი, მაგრამ არ უნდა სთქვას. მან ისევ შეანჯღრია გოგონა.

—სად არის მამაშენი?—შეეკითხა ახალმოსული მხედარი,—გვითხარი და გაგიშვებთ, ჩვენ ვიცით, რომ ის ველში იმალება. ჯიუტობა არ გიშველის.

პალმა გაქვავებულივით იდგა ერთ ადგილას.

— დამაცადე მე შენ,—დააშინა ერთმა იმათთაგანმა.

მან აიღო ღვინით სავსე ბოთლი, უყნოსა, გემო გაუსინჯა და შემდეგ, რაც შეეძლო, ერთი დალევით დალია და მეორე ამხანაგს გადასცა.

ცხენები ძლივს ადგამდენ ფეხს, ხვნეშოდენ და კუდებით იგერიებდენ მათ შემწუხებელ ბუზებს.

პოლიციელებს სრულებითაც არ ჰქონდათ ის განზრახვა, რომ პატარა მოჯანყე ბავშზე დრო დაეკარგათ, მით უმეტეს რომ ის სდუმდა, როგორც ქვა.

— შენ წამოხვალ იქ, სადაც ძალათი დაგალაპარაკებენ,—უთხრა უფროსმა მხედარმა, რომელმაც ამოიღო ჯიბიდან მსხვილი თოკი, ერთი ბოლოთი პალმას მარჯვენა ხელი დაუბა და მეორე ბოლო-კი ხელში დაიკავა ცხენზე მჯდომმა. მეორე პოლიციელი, რომელიც დანარჩენებზე უფრო გულკეთილი აღმოჩნდა, მოეხმარა პალმას, რადგანაც მასაც ჰყავდა შვილები და უთხრა ამხანაგს: ,,შენ რომ ასე ათრიო ამ გაუვალ ტყეში, ბავში მოკვდება, რადგანაც პატარა არის და სუსტი''.

— კი, მაგრამ ლაპარაკი ხომ შეუძლია, ამისათვის ხომ პატარა არ არის?—სთქვეს დანარჩენმა ამხანაგებმა.

მაგრამ პალმა ისევ ჩუმად იყო,

— გესმის, მიუბრუნდა პალმას მეორე პოლიციელთაგანი, გვითხარი, სად არის მამაშენი? მაშინ შეგსვამ ცხენზე და ისე წაგიყვან ქალაქში, რომ ხელსაც ვერავინ გახლებს. შენ კარგად გაისეირნებ და მზის ჩასვლამდის შინ იქნები.

მას უხდოდა ეთქვა, რომ თვითონაც არ იცის სად არის მამამისი, მაგრამ მაინც არ დაუჯერებდენ და ამიტომ გადაწყვიტა არაფერი არ ეთქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთ სიტყვასაც არ ვიტყვი, სთქვა მან თავის გულში, რადგანაც ყოველ ჩემ მიერ ნათქვამ სიტყვას შეუძლია სიცუდის მოტანა მამაჩემისთვის.

— შესვი უნაგირზე,—უთხრა პოლიციელმა თავის ამხანაგს. ის დაიღუნა, მოჰკიდა ხელი გოგონას, დაისვა თავის უნაგირზე და უთხრა მას: „მაგრად მოჰკიდე ხელი ცხენის ფაფარს, რომ არ გადმოვარდე“.

მაგრად მოჰკიდე ხელი ცხენის ფაფარს.

სამი მხედარი გაუდგა გზას. ორი საათის შემდეგ ისინი უკვე ყაზარმებში იყვნენ.

შიშისაგან, სიმშილისაგან, დარდისაგან და ძლიერი ღელვისგან პალმას გონება ეკარგებოდა.

მან, რომელმაც გოგონა წამოიყვანა ცხენით, ჩამოსმის დროს ისე დაახეთქა ქვაზე, რომ გრძნობა კვლავ მოუვიდა პალმას.

პოლიციელმა, რომელმაც პირველად შეამჩნია პალმა, ჩამოგდებისთანავე ხელები შეუკრა და უბრძანა, რომ ამდგარიყო.

ის წაიყვანეს იქ, სადაც მისი საქმე უნდა გარჩეულიყო. პალმა სისუსტისაგან ძლივს იდგა ფეხზე, მთელი კუნთები საშინლად ტკიოდა.

— ეს პატარა ქალი არის? — გაკვირვებით სთქვა გამომძიებელმა და მოფერებით ჰკითხა მას:

— შენ ლელიო დოლაბელას ქალი ხარ?

პალმა სდუმდა.

— რისთვის არ მიპასუხებ?

მას ტუჩები არ გაუნძრევია.

— რა გინდოდა შენ ველში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის კვლავ ხმას არ იღებდა

— შენ იცი, სად არის მამაშენი?

ისევ ხმას არ იღებს.

— თუ ჯიუტობას დაიწყებ, მე შენ დაგსჯი, უთხრა გამომძიებელმა მას, გაკვირვებულმა ასეთი პატარა ბავშის ჯიუტობით. ის ცდილობდა, რომ რაიმე საშუალებით დაელაპარაკებია ის, მაგრამ ვერც დაშინებამ, ვერც ლაპარაკმა და შეკითხვებმა მას ხმა ვერ ამოაღებია.

ცდილობდა, არაფერი ეფიქრა იმ ცოცხალ არსებებზე, რომელნიც დაცოცავდენ მის ირგვლივ.

— მომაშორეთ აქედან, — გასცა ბრძანება გამომძიებელმა, რომელსაც ბავშის ასეთი სიჯიუტით მოთმინება დაეკარგა, — გაუხსენით ხელები და ჩასვით ცალკე ოთახში; რომელიმე ქალმა დაშინჯოს, შეიძლება მაგასთან ჰქონდეს წერილი ან სხვა რაიმე. შიმშილი და სიბნელე მაგას ენას აუხსნის.

ბრძანება საჩქაროდ იქნა შესრულებული. დედაკაცმა მას ყველაფერი გააძრო, მაგრამ მაინც ვერაფერი უპოვა, მან ის ჩაკეტა ბნელ ოთახში და წავიდა. ახლა პალმას შეეძლო თავისუფლად დაწოლილიყო ნოტიო აგურის იატაკზე და მოსვენებას მისცემოდა.

ოთახში საშინელი სიბნელე იყო, მაგრამ პალმას ეს არ აშინებდა. ის მიჩვეული იყო სიბნელეში ძილს. დრო გადიოდა, მაგრამ მას ადამიანის ხმა არ ესმოდა, რადგან ოთახი დაშორებული იყო საცხოვრებელ ბინებს. ის იყო მოთავსებული საჯინიბოს გვერდით.

გოგონა არავის ახსოვდა. რა დიდი საქმე იქნება, თუ ვიღაცა მუშის შვილი გაგიჟდება სიბნელეში, ან კიდევ მოკვდება სიმშილისაგან? გამომძიებელი ამ დროს ბანქოს თამაშობდა და ბავშის შესახებ ყველაფერი დაავიწყდა. დე, იკანკალოს, მოკვდეს შიშისაგან, შესჭამონ თაგვებმა თავისი ჯიუტობისათვის, მეტის ღირსი არ არის ის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პალმა დაწვა იატაკზე, მუთაქის მაგიერ კი ხელები დაიწყო თავ ქვეშ. ის ცდილობდა, რომ არაფერი ეფიქრა იმ ცოცხალ არსებებზე, რომლებიც დაცოცავდენ მის ირგვლივ. მას აგონდებოდა მამის მიერ ნათქვამი სიტყვები, საშიში არაფერია, ესენიც „ბუნების შვილები“ არიან როგორც შენო! პალმა გრძნობდა, რომ მას რაღაცა საშინელი და ცუდი რამ მოელოდა.

ეგდე მანდ, შე მუნჯო გომბეშო!

უცებ კარები გაიღო და ოთახში სინათლის სხივი შემოიჭრა. დედაკაცი ისევ მივიდა პალმასთან დასაკითხავად.

მითხარი, რაც იცი მამის შესახებ, ეშმაკურად ელაპარაკებოდა მას დედაკაცი, სამაგიეროდ მიიღებ კარგ გემრიელ სადილს, წყალს, რამდენიც გინდა, ხვალ დილით კი დედასთან დაბრუნდები. ნუ იქნები ასეთი ჯიუტი. შენ უნდა დაემორჩილო მას

დედაკაცს ნაბრძანები ჰქონდა, რომ მას როგორმე გამოეტეხა ის, მაგრამ გოგონაზე ვერაფერმა ვერ იმოქმედა. პალმა დამუნჯებული იყო. ის თავს დამტვრეულად გრძნობდა, თავი მას უბრუოდა, ყელი გაუშრა, მაგრამ მაინც არ ავიწყდებოდა დიდი ვალდებულება — სიჩუმე.

— შენ ასეთი ჯიუტობისათვის ძლიერ პატარა ხარ, — უთხრა მას დედაკაცმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა ძნელი იყო შიმშილის და წყურვილის გადატანა, მაგრამ პალმა თავისაზე იდგა.

— შენგან ჩვენ ძალიან ცოტას ვთხოულობთ, უთხრა მას პოლიციელის ცოლმა, მხოლოდ გვითხარი, სად არის მამაშენი. მაშინ შენ სადილს მოგცემთ. შენ ჩემ შვილთან ერთად დაიძინებ, დილაზე კი დედასთან წახვალ.

პალმა კვლავ სდუმდა.

— ეგდე მანდ, შე მუნჯო გომბეშო, — დაუყვირა მას პოლიციელის ცოლმა და წავიდა.

ფანჯარა ძლიერ მაღალი იყო.

პალმა ისევ მარტო დარჩა. ის ძლივს დგებოდა ფეხზე. უცებ გოგონას მოუვიდა აზრი, შეიძლება მოვახერხო გადახტომა ფანჯრიდანო. ის ძლიერ გამხდარი იყო და თანაც ადვილად ემარჯვებოდა შორს მანძილზე გადახტომა.

ფანჯარა ძლიერ მაღალი იყო, მაგრამ კედელზე მან შეამჩნია კიბისებური საფეხურები. მოფიქრებისთანვე მან თავისი აზრი სისრულეში მოიყვანა. ის გატეხილი ფანჯრიდან გადახტა დაბლა, სადაც მის ბედზე იყო თივის ბულული, რომელზედაც ის რბილად დაეცა. მან იგრძნო, რომ განთავისუფლდა და უცებ გაიქცა. სირბილის დროს ფეხი წამოჰკრა ქვას, დაეცა და დალილ-დაქანცულს იქვე დაეძინა. დილით ადრე სწორედ იმ ბილიკზე გაიარა გლეხმა იდალიჩიომ თავისი ცხენით, რომელსაც მულას ეძახდა. მან პალმას დედისაგან გაიგო, რომ გო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონა მარტო წავიდა მამის მოსაძებნად და გადაწყვიტა მას მოხმარებოდა. ღამით იდალიჩიომ ნახა ლელიო დოლაბელა, უშველა გაპარვა ველიდან და ახლა კი შინ ბრუნდებოდა ძლიერ დალონებული, რომ ბავში ვერსად ნახა. როდესაც ის მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც პალმა იწვა, ცხენმა რაღაც იგრძნო და ხიხვინი დაიწყო. მულა კარგად იცნობდა გოგონას, რომელიც ხშირად უმასპინძლდებოდა მას პურით და სტაფილოთი. მიხვდა გლეხი, რომ ცხენმა რაღაც იგრძნო, გადაწია ბალახები და პალმა დაინახა. მას პალმა მკვდარი ეგონა, მაგრამ როდესაც ტუჩებზე დაადო ხელი, იგრძნო თბილი სუნთქვა გოგონასი. იდალიჩიომ ფრთხილად აიყვანა ბავში, დააწვინა ცხენის ზურგზე და თოკით დააკრა, რომ არ გადმოვარდნილიყო.

იდალიჩიომ იცოდა, რომ პოლიციელები პალმას ეძებდენ, ამიტომ სახე და ტანი ხშირფოთლებიანი ბალახებით დაუფარა. შუადღე იყო, როდესაც ისინი მიუახლოვდენ გალარატის საზღვარს.

— ეს ჩემი შვილიშვილი არის, მე ის საავადმყოფოში მიმყავს. ხიდან გადმოვარდა და თავი საშინლად აქვს გატეხილი. ახლა ეს უგრძნობლად არის, — უთხრა იდალიჩიომ მზვერავებს და თან ზევიდან დაფარებულ ფოთლებს აცლიდა, რომ სიმართლე დაემტკიცებია მათთვის. მზვერავებმა ახედ-დახედეს და გაუშვეს. ამგვარად მან გოგონა მშვიდობიანად მიიყვანა შინ. როდესაც პალმა გონს მოვიდა, იდალიჩიოს უთხრა: ,,გადაეცი მამას, რომ მე არაფერი არ მითქვამს!''



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხმამ გადაარჩინა

ზამთრის საღამო იყო... მთელი ქალაქი გახვეულიყო თეთრ საბანში, რომელზეც ელექტრონის სანათები სხივებს ალმასებად აბნევდა... ფიფქ თოვლს ხრაშახრუში გაჭქონდა ფეხქვეშ... მომწყინდა ქუჩაში სიარული; ნაცნობებთანაც მეზარებოდა მისვლა—მეშინოდა, არავინ შემეწუხებია. სწორედ ამ დროს მომაგონდა ერთი ძველი მეგობარი —მოხუცი მემუსიკე... მას სახლში ცოლი ჰყავდა და ერთი შვილიშვილი. მშვიდი ხალხი იყო, ტკბილი. კეთილი ოჯახის ნახვა ძლიერ მომინდა. ახლოს ცხოვრობდენ. ვეღარ მოვითმინე და გავეშურე მათკენ...

გავიარე რამოდენიმე ქუჩა და დავაკაკუნე ნაცნობი კარი... თვითონ მემუსიკე გამოშეგება.

—ო-ოხ! გამარჯობა, ჩემო ნიკო, გამარჯობა; სადა ხარ,კაცო! არა გრცხვენია, ერთხელაც ‌ არ მოხვედი ჩვენთან, არა გვნახე; ასე უნდა დავიწყება?

—რას მეუბნებით, ჩემო ალექსანდრე... ხომ კარგად ბრძანდებით?

—ჩვენი ნიკოა?—გამოძხედა მეორე ოთახიდან მისმა მეულლე სოფიომ—მოდი, შვილო, მოდი აქეთ, ღუმელისკენ, მანდა ცივა.

მხრუნველობით მიმიყვანეს და გახურებულ ღუმელთან ხელის სკამზე დამსვეს...

—რატომ აქამდის არა გვნახე, ჰა, აი შე ეშმაკო!—ზურგზე დამკრა ხელი მემუსიკემ.

ვიმუსაიფეთ... სასიამოვნო იყო მათთან საუბარი.

—ილიკო სადა გყავთ?—ვკითხე შვილიშვილზე.

—ორივენი სასწავლებელში საბავშო საღამოზე არიან, მალე ‌ მოვლენ, მგონი, უკვე დრო‌ა,—სიუვარულით სთქვა ცოლმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ ორნი?

— შოთა და ელიკო.

— აბა შოთა?

— მარიოლა, ამან ხომ აწ იცის! ელიკოს ბატარა ძმა ჰყავს ახლა, და მერე როგორი კარგი!..

გაისმა კარების კაკუნი.

ავხადე ყუთს თავი.

— აი, ისინიც მოდიან, მგონი,—სთქვა მემუსიკემ და კარებისკენ გაეშურა. ოთახში ხელების თბობით შემოცვივდენ ბატარები...

ბებიამ ორივენი გადაჰკოცნა. ელიკო მოვიდა ჩემთან და ხელი ჩამოგართვა. თორმეტ-ცამეტი წლის გოგონა იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

F 1929

— ჩემი ძმა!—მითხრა ელიკომ და ვაჟს შეხედა.

მოიახლოვდა ბავში და ნელა მორცხვად გამოიწოდა ხელი.

— როგორი სადამო გქონდათ?— ჰკითხა ბავშვებს მეშუსიკემ.

— ძმვენიერი, ბაბა, ძმვენიერი!—აღტაცებით წამოიძახა ელიკომ—წარმოდგენამ საუცხოვოდ ჩაიარა, შოთიკოს სიმღერამ ხომ სუეგელანი გადარია...

— როგორ, შოთიკო მღერის?—ვიკითხე მე.

მეშუსიკემ ღიმილით შემომხედა, არაფერი მიპასუხა, განჯინიდან გამოიღო სკრიპკა, გასინჯა სიმები და შოთას შეხედა.

— აბა, ჩემო ბიჭიკო, ის იმღერე, შენ რომ გიყვარს.

— მერე, ბაბა,—უთხრა ბავშმა და მე გადმომხედა.

— არა უშავს-რა, შოთიკო, ჩვენი ნიკოა, ნუ შეგრცხვება...

ბავში მიუახლოვდა მოხუცს, ცალი მხარი შემოაქცია... რცხვენოდა... გაისმა სკრიპკის სევდიანი მელოდიები... შოთამ თვალები დახუჭა და. დაიწყო:

შორს, სადღაც, წარმტაც
მზის ჩასავალში,
შეცურებული
ოცნების ზღვაში,
ვიცქირებოდი
იმედით მთვრალი,
მაგრამ მიჭქროდა
დღეების რკალი,
ჩემ გულს კი
ლხენა არა სწვდებოდა,
და ირგვლივ ეინვა,
ხუსხი დგებოდა.

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოხ! რა საუცხოოდ მღეროდა ბავში!.. ის მთლად სიმღერად გადაიქცა. კვნესოდენ მოხუცის ხელში სკრიპკის სიმები...

მაგრამ წავიდა
კრული ზამთარი,
თან გაჰყვა თოვლი,
ეინვა ტიალი.

ბავში მემუსიკემ წამოიყვანა.

ტკბილად სძგერს გული,
უსტვენს ბულბული,
შშრომელთ უცინის
დილა მზიანი.

გათავდა სიმღერა... მისწყდა მუსიკის ხმაც... კარგახანს ვერ გამოვერკვიე... რამდენი რამ იყო ამ ჰატარა ბავშის სიმღერაში! ვერცხლის ზარივით წმინდა ხმა და ამდენი განცდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წადით, შვილებო, დაიძინეთ,—სთქვა მემუსიკემ.

სოფიომ მეორე ოთახში გაიყვანა ბავშები დასაძინებლად...

მოხუცმა თვალებიდან ცრემლები მოიწმინდა...

— და მერე იცი, ჩემო ნიკო, რომ ეგ ბავში შემთხვევამ გადაარჩინა!.. ხომ დაიღუპებოდა...

ველარ მოვითმინე და ვიკითხე, თუ საიდან გაჩნდა ბავში ძათთან.

II

„რამოდენიმე თვის წინ ღამე მოვდიოდით მე და ელიკო ქუჩაზე“,— დაიწყო მან. „წვიმდა, ცივდა, საშინელი ტალახი იყო... ერთგან, ბნელ მოსახვევში, სიმღერის ხმა მოესმა..

ვიღაც მშვენივრად მღეროდა... მომაჯადოვა ამ ხმამ, დავდექ და სმენად გადავიქეცი... დაუმუშავებელი იყო ხმა, მაგრამ დიდი გრძნობა იყო შიგ ჩაქსოვილი...

ახლოდან მინდოდა მოსმენა. იქვე სარკმელს მივუახლოვდი, მაგრამ ხმა დამშორდა; მივიხედ-მოვიხედე,—ახლომახლო არავინ ჩანდა...

გამოვბრუნდი,— ხმა დამიახლოვდა...

იქვე ტრამვაის რონოდებისთვის სილის დიდი უუთი იდგა. ავსადე, ჩავიხედე და... სიმღერის ხმა იქიდან ამოდიოდა. ჰატარა ბავში, დახეულ საცმელებში, ნახევრად სილაში ჩაფლული, თვალებდახუჭული მღეროდა...

სახურავის ახდამ გამოარკვია. „მოხვედი?“—დამიძახა და, რომ გაპარჩია, ბოდიში მოიხადა: ამხანაგი უნდა მოსულიყო და ის მეგონეთო...

ადგა... ჰირიდან არაყის საშინელი სუნი ამოსდიოდა... უცბად შეეზარა. ჰატარა ბავში და არაყი! მაგრამ მერე შემრცხვა ჩემივე თავის, ჩავუკვირდი... ცრემლიან თვალებში იმდენი სევდა და ნაღვლი იყო, რომ კინაღამ ავტირდი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინა ხარ, ბატარავ?—შევეკითხე.—აქ რა გინდა?

— მაშ სად წავიდე, მია, ვისთან?

— სადაური ხარ, აქ რა გინდა, ხასლი სადა გაქვს?

— არსად! ჩემი ამხანაგებით ხან აქ გვძინავს, ხან სხვაგან, —მიბასუხა და ისე ამოიოხრა, რომ გული თან ამოატანა...

ელიკომ ბავშის უბედურებაზე ტირილი დაიწყო...

ისიც ატირდა...

ვერ მოვითმინე. უცბად გადავწვეიტე ჩემთან წამეყვანა... სჩანდა, რომ ქუჩის ცხოვრებას ჯერ დაღი არ დაესვა ბავშისთვის... არ წამხდარიყო...



— ვისთან დალიე,—ვკითხე.

ბატარამ მორცხვად ჩადუნა თავი...

— ამხანაგებმა დამალვინეს. ნაჩუქარი ფულით ვიყიდეთ. ძალიან ცივდა...

სთქვა და შიშველ ტანზე დაიჩედა...

— წამოხვალ ჩემთან?—შევეკითხე. ბავში ჩამახედა და მოძიახლოვდა. ვერ გაერკვია ჩემი სიტყვები თუ არ დაიჯერა—ვერ გამოვარკვიე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემთან, სახლში,—გავუმეორე.—თბილად იქნები, კარგად... ელიკომ მადლობის თვალით გადმოხედა, მივარდა ბავშს და ჩვენსკენ გამოსწია.

— წამოდი, ძაძიკო, წამოდი... კარგი ბაბა და ბებია მყავს... ერთად ვიცხოვრებთ, არ გინდა?..

ბატარა მოშვარდა; უნდოდა სელზე ეკოცნა, მაგრამ არ გაბედა...

წამოვიყვანე... ელიკოსთან ერთად დადის ახლა სკოლაში და მე კიდევ სიმღერას ვასწავლი...

ვითომ ორი შვილიშვილი მოლია... ისეთი კარგი ბავშია, ისეთი, რომ ვერ აგიწერ... და მე რომ არ შემხვედროდა, ვინ იცის, რა დაემართებოდა. რამდენი იდუნება ახლაც ქუჩაში, უპატრონოდ...

ელიკო და ეგ ისე შეეჩვიენ ერთმანეთს, როგორც და და ძმა... რომ გაიზრდება, კარგი კაცი დადგება, დარწმუნებული ვარ...“

დაამთავრა მოხუცმა მემუსიკემ...

ბავშებს მეორე ოთახში ემინათ. დიდედასაც სთვლემდა.

ჩაიფერფლა ბუხარიც...

გამოვემშვიდობე კეთილებს.

„ხმამ გადაარჩინა, ხმამ“—ვფიქრობდი გზადაგზა...

გ. რობიტაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციგაობა.

—ნიკა, ნიკა, გარეთ გამო,
გამო ჩქარა, ველი,
დაუვარავს თოვლს მიდამო,
მინდორი და ველი.

უყვირდა კოტე ნიკას,
მისდგომოდა კარზე;
თბილად ეცვა, ეაბალახიც
მოეხვია თავზე.

ნიკომ ბევრი არ ახანა,—
გამოიჭრა კარში;
დაინახა კოტე ციგით
და შემოჭერა ტაში.

—აბა, ნიკა, გვერდისაკენ,—
კოტემ უთხრა ნიკოს,—
ვიციგაოთ, ამ სიცივემ
რაც კი უნდა გვიოხს.

და მოუსვეს სიხარულით,
შემოსძახეს „ჭერი“,—
რაღა უნდათ, საციგაოდ
მზად აქვთ ყველაფერი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩქარა გაჩნდენ გვერდოს ბირად,
გადაავლეს თვალი;
შემდეგ ჩასხდენ ცივაში და
გაიკაფეს კვალი.

დასრიალდა მათი ცივა,
დადგა ოთვლის მტვერი;
ნიკოს შიში შეეპარა,
აცვლევინა ფერი...

ბევჯერ კარგად ჩასრიალდენ
სიცილ-კისკისითა;
და ბოლოს რომ ქვე დაქანდენ
ისევ იმავ გზითა,—

სასიფათოო რამ შეემთხვათ:
გადუბრუნდათ ცივა!
ქვეშ მოექცა ჩვენი კოტე
და ზევიდან ნიკა.

თოვლში კარგად იბუღრავეს,
გაიგანგლენ თეთრად,
და ცოტა ხანს თოვლში იწვენ
ჩახუტულნი ერთად.

შემდეგ კოტე ძლივს წამოდგა,
გაიმართა წელში,
მაგრამ იგრძნო ტკივილები
მან მარჯვენა ფეხში.

ნიკას ეღრძო ცალი ხელი,
,,ვაის', იმახოდა,
თან სიმწარით ერთ ალაგას
კურდღელსავით ხტოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ შედეგით დაგვირგვინდა
დღევანდელი ლხენა.
მობუზულნი წამოვიდეს
შინისაკენ ნელა.

დ. ელიოზიშვილი.

პატარა მიშიკო.

I

ობოლი იყო პატარა მიშიკო... დედ-მამის ალერსს ვერ იცნობდა... არვინ ჰყავდა გულშემატკივარი ამ დიდ ქვეყანაზე, გარდა ძვირფასი დიდედასი... უყვარდა დიდედა... უყვარდა მისი დაჭმუჭნული სახის კოცნა. მოხუცსაც მზე მიშიკოზე ამოსდიოდა. ან როგორ არ ეყვარებოდა, როდესაც სამი შვილიდან ერთი შვილიშვილიდა დარჩენოდა... უვლიდა დიდედა მიშიკოს, ეალერსებოდა. როდესაც ორ თავისუფალ კაპეიკს მოიგდებდა ხელში, მისთვის ტკბილეულობას ეიდულობდა... საღამოობით მიშიკო დიდედას კალთაში ჩაუდებდა ხოლმე თავს, რომელზედაც დიდედა ალერსით ხელს უსვამდა, და ეურს უგდებდა მოხუცის ზღაპრებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

დასამთრდა... მთელი მიდამო თეთრი თოვლით გადაიბენტა... თბილად ჩაცმული პატარა ბაშვები სიცილით თოვლში დარბიან და გუნდაობენ, თამაშობენ... აგერ თოვლის კაცი გააკეთეს... ირგვლივ მხიარულად ფერხულს უვლიან.

— დიდედა, მეც მინდა გარეთ... მათთან თამაში.. —უთხრა მიშიკომ დიდედას... გაცრეცილი ხალათის ამარა სახლშიც სცივა... სცივა, მაგრამ ბავშების თამაშით გატაცებულს სიცივე ავიწყდებოდა...

— შეგცივა, გენაცვალოს დიდედა... თბილად არ გაცვია... — უთხრა მწარედ მოხუცმა...

მიშიკომ ნადვლიანად გადახედა მხიარულ ბავშებს და ცრემლები მოერია თვალებზე... დადგა .. მიშიკოს სცივა, იცრემლება...

— მოდი, მიშიკო, ჩემთან... ნუ ტირი... მალე გაზაფხული მოვა... თბილი, მზიანი დღეები დადგება... მაშინ შენც ირბენ გარეთ, იმხიარულებ...

მიშიკოს დიდედას კალთაში ჩაეძინა... სიზმარი ნახა...

მაისის სასიამოვნო დღეა... მხიარულად დარბის ტოლამხანაგებში... ახალი ტანისამოსი აცვია... უხარია... იცინის...

დიდედამ ლამაზი, ხურათებიანი წიგნი უყიდა... გახარებული მიშიკო გარბის მისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ კი გენაცვალე, დიდედო, და გადაეხვევა დიდედას... გაედვიძა... მიშიკოს თავი ისევ სიზმარში ჰგონია...

უნდა აკოცოს დიდედას, მადლობა უთხრას... დიდედას-კი მაგრად ჩაეკრა მიშიკო მკერდში... არ უშვებს.. როგორც იყო, გამოუშვრა მოხუცს. შეხედა... სძინავს. .—დიდედო, დიდედო.. დაიყვირა მიშიკომ... მოხუცი არ იღვიძებს.. წაავლო ხელი, შეტოკდა... დიდედა არ ინძრევა... ბავშს მოაგონდა დედა: ისიც ასე იყო... თვალებს არ ახელდა... ხმას არ იღებდა...— ვაიმე, დიდედო, ვაიმე!... და საბრალო მიშიკომ მწარედ დაიწყო ტირილი... დიდედა უკვე ადარ ჰყავდა...

III

ბატარა მიშიკოს სცივა... ჰშია. რამდენიმე დღეა ბური არ უჭამია...

ქუჩაში, კედელს მიუდებული, უიმედოდ აქეთ-იქით იცქირება...

დახეული ფეხსაცმელი თოვლით აქვს სავსე... მოკრუნჩხული ხელები გულზე მიუკრავს და ტირის, მწარედ ტირის...

— შენ რათა ტირი... აქ რა გინდა, არა გცივა?

ჰკითხა ბატარა ბავშმა, რომელიც მოხტოდა ქუჩაზე და თან თოვლს ებოტინებოდა...

მიშიკომ უნდობლად შეხედა მხიარულ ბავშს და ტირილი არ შეწყვიტა... „იმას თბილად აცვია. . არა ჰშია... მხიარულია, მასხარადაც მიგდებს“...

მიშოკოს ტირილზე ბატარას სახე მოეღუშა... კინალამ ატირდა...

— რატომ შინ არ წახვალ, არაფერი გაცვია. დედა არა გუავს?...

ჰკითხა ალერსით უცნობმა და მიშიკოს მხარზე ხელი დაადო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე არავინ მყავს... დიდედაც მომიკვდა... მმია... გავიყინე ..

ნაწყვეტ-ნაწყვეტად კანკალით უპასუხა მიშიკომ..

პატარა დაღონდა... თვალებზე ცრემლები მოერია... თავჩაღუნულმა განაგრძო გზა...

IV

— იგუნდავე და გატირეს, შე კუდრაჭავ?—ალერსიანად შეეკითხა ადმზრდელი ქუჩიდან დაბრუნებულ ირაკლის, რომელსაც თვალებზე ცრემლები კიდევ არ შეშრობოდა...

— არა, არ მიგუნდავია... არც მატირეს.

— მაშ რა დაგემართა? —შეწუხებით ჰკითხა მასწავლებელმა.

— მე ქუჩაში... ჩემი ტოლა ბიჭი ვნახე... არავინ ჰყოლია... სიცივისაგან კანკალებდა... შიოდა, ტიროდა, საწყალი, ტიროდა...

ირაკლის მოაგონდა თავისი ობლობა, აქვითინდა: ისიც ქუჩიდან მოიყვანეს... უპატრონო...

— ცოდო არ არის?... რა ეშველება... ვინ უპატრონებს?... ამბობდა შეწუხებული ირაკლი...

მასწავლებელი ჩაფიქრდა... მიიხედ-მოიხედა და გასწია მეორე ოთახში.

ცოტა ხნის შემდეგ ის მხიარული დაბრუნდა იქიდან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავში შეგნების თვალით შესვდა მასწავლებელს.

— აბა, წავიდეთ, ირაკლი. მაჩვენე ის ბატარა...

ირაკლის სახე გაუბრწყინდა... ჩაავლო ხელი მასწავლებელს და წაიყვანა იქით, ქუჩის ბოლოს, სადაც მტირალი ბავში ეგულებოდა... ისევ იქ იდგა... ნაღვლიანად გაჰყურებდა აქეთ-იქით...

ნაცნობი ბავშის დანახვამ გაახარა... გაიწია მისკენ. მაგრამ მის გვერდზე დიდ ქალს მოჰკრა თვალი... დაღონდა, უფრო მოიკრუნჩხა...

მასწავლებელი და ირაკლი მიუახლოვდენ... შედგენ...

— რატომ შინ არ წახვალ, ბატარავ, არავინ გყავს?..

შეეკითხა ალერსიანად მასწავლებელი და თან თმაზე ხელი გადაუსვა...

მიშიკომ ქვეშ-ქვეშ შესედა უცნობს... მის თვალებში მფარველობა ამოიკითხა... ენდო გული...

— არავინ მყავს... სახლში ადარ მიშვებენ, რაც დიდედა მომიკვდა,—ცრემლებით უპასუხა ბავშმა.

— არც ნათესავები გყავს?

ბავშმა თავი გაიქნია...

— რა გქვია?!

— დიდედა მიშიკოს მეძახდა...

მასწავლებელმა გაიღიმა...

— წამოდი, მიშიკო, ჩვენთან... იქ ბევრ ამხანაგს იპოვნი,—არავინ გაწყენინებს, ყველა შეგიყვარებს...

— წამოდი, წამოდი... უთხრა გახარებულმა ირაკლიმ და წაავლო ხელი თავის მოძალალ მეგობარს...

მასწავლებელმა მიშიკო საბავშო თავშესაფარში წაიყვანა.

გოგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანბანის სიმღერა

განა ჩვენ არ შეგვიძლია
გავაკეთოთ წრე და განი
და ვაცქვეთ ასოები:
ლასი, დონი, ვინი, განი?



ეს ცოფერები თაგვებია
და ანი კი ვითომც კატა;
არ შეუშვათ! შეხე, შეხე:
სირბილს როგორ მოუმატა!

ხელი მაგრად დავიჭიროთ,
რომ არ გაწყდეს ჩვენი რკალი,
თორემ, კატა თუ შეეუშვით—
ვაი მაშინ თაგვის ბრალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭს! ოინმა ჩაიჩოქა,
საწყალს ფეხმა უღალატა.
ოინი ჰყვირის: „ჩქარა ხელი,
თორემ წრეში შევა კატა!“

ანი ოინზე გადახტება,
ნოლს დაიჭერს მოცინარი...
და ჰირღია დარჩებიან:
კარი, ფინი, ბანი, ნარი.

ი. გრიშაშვილი.

ბავშვების ფეიერვერკი

25 თებერვალი.

თებერვლის ქარმა გადმოირბინა,
ძველი ქვეყანა დაამხო დაბლა,
ნათელმა სხივმა შემოანათა,
და უკუნეთმა ჩამოიდაბლა.

სინათლე ეცა მძინარ მაშვრალსა,
ზეიმობს ხალხი, მეც მათთან ვმღერი,
აყვავდა ყველა, იფურჩქვნის ახლად,
ეს ქვეყანაა დღეს სულ სხვაფერი.

გაქრა სიბნელე, გატყდა ბორკილი,
დღეს საქართველო ფეხზეა მდგარი,
გამოკრთა სხივი თავისუფლების,
მშრომელი ხალხის ზეიმი არი.

ო, დღეს ვზეიმობთ 6 წლის თავზე,
ტანჯვა-წამების დამვიწყებელნი,
წითელ დროშებით ვაყვავებთ ქუჩებს,
მომავლის რწმენით გულანთებულნი.

გიორგი შალვაშვილი, მე-7 კოლექტივის პიონერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელარმიელთ

არმიელნო წინ, წინ, მედგრად,
დაამსხვრიეთ ტანჯვის რკალი,
თავს დაეცით სისხლის მწოველთ
საშინელი შიშის ზარი.

არმიელნო, ყოველ მხარეს
გაავრცელეთ ძმობის რკალი,
მტერსა მტრულად თავს დაეცით,
დაანახვეთ ბრძოლის ალი.

მაშ მშრომელნო, მუშა—გლეხნო,
ამოვუდგეთ ამათ მხარში,
გაამაგრეთ მათი რიგი,
ტაში, ძმებო, ტაში, ტაში!...

პაიჭაძე ლევან.

მათხოვარი.

ზამთარია, ძალიან ყინავს. ყველანი სახლებში არიან თბილად და გარეთაც თბილად ჩაცმულები გამოდიან. მხოლოდ ორ პატარას არ სწვევია ასეთი ბედნიერება: ისინი ძონძებში გახვეულნი დგანან კედელთან ხელგაშვერილები და პურს თხოულობენ. მათ ტანს ძლივს უფარავს ძონძები, ისინი კანკალობენ, ხელგაშვერილი ეხვეწებიან გამვლელ-გამომვლელებს. მათ ყურს არავინ არ უგდებს.

— ეხ, რა გულქვაა ეს ხალხი,—სთქვა ერთმა.

— არავინ არ გვიგდებს ყურს, ყველანი ზიზღით გვიცქერიან.

— გადავიდეთ სხვა ქუჩაზე, აქ არავინ არაფერს არ მოგვცემს,—სთქვა მეორემ.

მეც გადავყე მათ თან, მივუახლოვდი და, რაც მქონდა ჯიბეში, მივეცი, თან შევეკითხე, რატომ დადიან, ჰყავთ თუ არა მათ პატრონი და, აი, ბავშებმა ეს მიამბეს: ჩვენ ვცხოვრობთ ერთ ბნელ სარდაფში, მამა ბარგის გადამზიდად იყო; მაშინ კი გვყოფნიდა პურის ფულად მამის ნაშოვნი, მაგრამ მამა მოგვიკვდა და მერე დედამ ვერ შესძლო მუშაობა, რადგანაც ავადმყოფი იყო, მუხლები დახუთული ჰქონდა ექვსი თვის შემდეგ დედაც გადაიცვალა და მას აქეთ ასე დავდივართ სათხოვნელად. ღამე ვბრუნდებით ბნელ სარდაფში.

მე ცრემლები მომადგა თვალებზე და ვთხოვე ჩემთან მოსულიყვნენ, ვუთხარი ჩემი მისამართი. წაველი შინისკენ და ვემზადებოდი, თუ როგორ უნდა შევხვეწნოდი დედას, რომ მუდმივი დახმარება აღმოეჩინა ამ მათხოვრებისთვის.

21 შრ. სკოლის მოწაფე **ა. ძიძიგური.**

მეგრძოლთა სიმღერა.

ჩვენ დავამტვრიეთ რკინის ბორკილი,
ჩვენ დავანგრიეთ ქვეყანა ძველი,
ძმობის კანდელი ავაგურგურეთ
და სისხლით მოვრწყეთ ბრძოლისა ველი.
ბევრი ვიბრძოლეთ, მშრომელმა ხალხმა,
მძლე ქარიშხლებმა გადაგვიარა,
მაგრამ ჩვენ მაინც წინ მივილტოდით,
და არ გვემჩნევა გულზე იარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის ოცნება შორს, შორს მიჰქროდა,
იმედის ფრთებით გაბრწყინებული,
ჩვენც მტრებს ვებრძოდით დაუღალავად,
მომავლის ცეცხლით აღტაცებულნი.
და დედამიწა მზისა გარშეკო
ელვის სისწრაფით შემოტრიალდა,
ახალ ქვეყანას მზე გაუსწორდა,
ძველი ქვეყანა მთლად გატიალდა.
მშრომელმა ხალხმა გამოიღვიძა,
სხვადასხვა ჰანგზე გაისმის მღერა,
აწი გუგუნებს მჩაგვრელებისგან
მშრომელთა ხალხის ჩამქრალი კერა.

კახელი ბიჭი.

შვილის რჩევა.

ერთ განაპირა სოფელში პატარა მიყრუებულ კუნჭულში იყო დადგმული ქოხი და იქ ცხოვრობდა ღარიბი გლეხი, რომელსაც ორი შვილი ჰყავდა: პატარა 5 წლის გოგონა ტასო და 12 წლის ვაჟი ივანე.

ივანე იქვე მახლობლად დადიოდა კოლექტივში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ივანე კოლექტივის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა, როგორც შეეძლო, მას რასაც უამბობდენ, არ ივიწყებდა და ჩაინერგავდა ჭკუა-გონებაში. ერთხელ ივანეს და გაუხდა ავად; ის ძალიან სწუხდა მის ავადმყოფობას. ივანეს დედ-მამა ძალიან ცდილობდა, რომ რითიმე მოერჩინათ. ივანეს მამამ გაჰყიდა ცალი ხარი და შესწირა თავის შვილს ტასოს.

ივანეს დედამ დააპირა ტასო წაეყვანა მკითხავთან, მაგრამ ივანემ არ გაუშვა და უთხრა: „დედი, ძალიან დიდ შეცდომას ჩადიხარ, მკითხავთან რომ მიგყავს, ის რას გიშველის, ბარემ ექიმთან წავიყვანოთ და ის ხელად მოარჩენს". მართლაც აასრულეს შვილის სიტყვა და წაიყვანეს ექიმთან. ექიმმა გამოუწერა წამალი და ტასო ფეხზე წამოაყენა. ბევრჯერ მომხდარა ამნაირი შემთხვევა ივანეს დედ-მამის ოჯახში. როდესაც ტასო დიდი გაიზარდა, ივანემ მიაღებინა კოლექტივში, თითონ კი სხვა ღარიბი გლეხების ბავშებს ასწავლიდა და განუმარტავდა იმას, რასაც უამბობდენ მას უფროსები.

მე-2 შრომის სკოლის მე-2 ჯგუფის მოწაფე
შოთა ფერიაშვილი, 13 წლის.

ზამთრის სურათი.

კარგი სანახავია ზამთარში ბუნება. ხეებმა თეთრი ყინულის ლოლუები დაისხა, მინდორს თეთრი საბანი გადაეფარა, ბელურები, შაშვები ქათმებთან ერთად საუზმეს შეექცევიან. შინაური ცხოველები თბილ ბოსლებში არიან და თივას შეექცევიან. მგელი ტყეში დაძრწის საჭმლის მოსაპოებლად. მელია საქათმეს ეპარება, რომ საჭმელი იშოვოს. ადამიანები თბილ ტანისამოსს იცვამენ, ხშირად აღარ გამოდიან კარში. გლეხებმა შემოდგომაზევე დაიგულეს სარჩო: პური, კართოფილი, ლობიო და სხვა, და ზამთარში ისვენებენ.

I ლ ცხრაწლ. მე-II ჯგ. მოწაფე **შოთა ბაღაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გასართოგები და ამოცანები

I

რომელ თვეში სუნთქავს მოწაფე ყველაზე ნაკლებს

II

თქვენ ხომ ხედავთ ორი ფრინველის ნაკვალევს თოვლზე? ერთი ფრინველი ხეზე ცხოვრობს, მეორე დედამიწაზე.

აბა, დაკვირდით ორივ ნაკვალევს და გამოიცანით, რომელი ცხოვრობს ხეზე და რომელი დედამიწაზე.

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

III

გავიქეცი, გამომიდგა,
გავეკიდე და გამექცა.

IV

ჩემ დიდ მუხაზე
თორმეტი ბუდეა,
თითო ბუდეში ოთხი კვერცხია,
თითო კვერცხში კი შვიდი წიწილია

V

ფოთოლი არ არის, ფურცლები ჰქვიან
პერანგი არ არის—შეკერილია,
პიონერი არ არის მოამბე კია.

VI

ეს ჩემი შეშის მჭრელი მე გამოვაქანდაკე თოვლისაგან. თუ შეგიძლია, შენც გააკეთე: წრეულს ხომ დიდი თოვლია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1927 წ.

გ ა ნ ც ხ ა

საუმაწვილო დასურათებული ჟურნალები:

მცირეწლოვ.	„ნ ა კ ა დ უ ლ ი“	ყოველ-თვიური	მე-XXIII წ.
ზოგრდილ.	„პ ი ო ნ ე რ ი“	ორკვი-რეული	II წ.

ხელის მოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.

გადაგზავნით	„ნ ა კ ა დ უ ლ ი“ —	ერთი წლით	—3 მ. 50 კ.
		ნახევარი წლით	—2 მ.
	„პ ი ო ნ ე რ ი“ —	ერთი წლით	—5 მ.
		ნახევარი წლით	—3 მ.

ცალკე ნომერი	„ნ ა კ ა დ უ ლ ი“	— 35 კაპ.
	„პ ი ო ნ ე რ ი“	— 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, განათლების სახალხო კომისარიატი. „ნ ა კ ა დ უ ლ ი ს“ და „პ ი ო ნ ე რ ი ს“ რედაქცია.

რედაქტორი—**სარედაქციო კოლეგია.**

ტფილისი 16/II—27. ს.ს.მ.უ.ს. პოლ.-ტრ 1-ლი სტამბა შეკ. № 4193/605—მთავ. № 304 ტირ. 3000